№11 (9894) ◆ ნოემბერი, 2022 წელი ◆ ფასი 50 თეთრი ◆ *გაზეთი გამოდის 1933 წლის 3 მაისიდან*

დავალებები მიღებულია, უნდა შესრულდეს

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიაში მორიგ თათბირზე, რომელსაც მერის მოადგილეები და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ მოსმენილ იქნა ინფორმაციები კონკრეტული სფეროების მიხედვით გაწეულ საქმიანობასა და დაგეგმილ ღონისძიებებზე.

განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა პროექტების მიმდინარეობაზე. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერმა დაავალა ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურული ზედამხედველობის სამსახურებს, ნებისმიერი პროექტის შესრულებისას მაქსიმალურად გააკონტროლონ ხარისხი და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადები.

თათბირზე, განხილულ იქნა აგრეთვე სოციალური და ჯანდაცვის მიმართულებით არსებული პროგრამებიც, რომლებიც მოსახლეობას საშუალებას აძლევს ისარგებლონ სხვადასხვა სახის დახმარებით.

მუნიციპალიტეტის მერმა **ზვიად მხეიძემ** სამსახურების ხელმძღვანელებს მისცათ კონკრეტული დავალებები და არ გამორიცხა მკაცრი ღონისძიებების გატარებაც შეუსრულებლობის შემთხვევაში.

ემეგობრე პოლიციას

ქ. ამბროლაურში, კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-შემეცნებითი კამპანიის – „ემეგობრე პოლიციას“ ფარგლებში, საზოგადოებრივი ღონისძიება გაიმართა, რომელსაც შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე – **ალექსანდრე დარახველიძე**, სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის ხელმძღვანელები, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებული – **პაპუნა მარგველიძე**, სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეები – **ქრისტინა კობახიძე, ლევან ზალკალიანი,** ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ასლან საგანელიძე**, მერი **ზვიად მხეიძე**, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები დაესწრნენ.

ღონისძიებაზე მოსულ სტუმარებს საშუალება ჰქონდათ, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის, მომსახურების სააგენტოს, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, საპატრულო პოლიციის, სასაზღვრო პოლიციის, საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის, დაცვის პოლიციის და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ სივრცეებში გასცნობოდნენ აღნიშნული დანაყოფების საქმიანობას. დაეთვალიერებინათ ამავე დანაყოფების აღჭურვილობა და სპეცტექნიკა. ბავშვებს კი საშუალება მიეცათ, სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად, სხვადასხვა შემეცნებით და გასართობ აქტივობაში მიეღოთ მონაწილეობა.

კამპანიის ფარგლებში, სახალხო ღონისძიებების პარალელურად, შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფების წარმომადგენლებმა, მთელი ქვეყნის მასშტაბით, სკოლებში მოსწავლეებთან საინფორმაციო-შემეცნებითი შეხვედრები გამართეს, სადაც მოზარდებს ინფორმაცია მიაწოდეს მართლწესრიგის შესახებ, მათთვის საჭირო და აქტუალურ თემებზე. ამბროლაურში ასეთი შეხვედრები ქალაქის პირველ და მეორე საჯარო სკოლების მოსწავლეებთან გაიმართა და ძალზე საინტერესო გამოვიდა საზოგადოების უსაფრთხოების და მართლწესრიგის შესახებ ცნობიერების ამაღლების თვალსაზრისით.

საგზაო ინფრასტრუქტურა – პრიორიტეტი

მუნიციპალიტეტის სოფლებში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა პრიორიტეტებს შორის უმნიშვნელოვანესია და შესაბამისად, მასშტაბურია ამ კუთხით მიმდინარე წელსაც დაგეგმილი პროექტები, რომლებიც ფინანსდება რეგიონული განვითარების ფონდით. კერძოდ სოფელ ხოტევში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციაზე წელს იხარჯება 309385 ლარი. ნიკორწმინდაში 262 ათასი ლარი, პირველ ტოლაში პირველ ეტაპზე შესრულდება 200 ათასი ლარის სამუშაო, მთლიანად კი ათვისებული იქნება 407536 ლარი. სადმელი, წესი ჟოშხა... საკმაოდ დიდია სია იმ სოფლებისა სადაც დამთავრდა ან გრძელდება პროექტის ფარგლებში სასოფლო გზებზე ბეტონის საფარის დაგება. პროექტების ნაწილი გარდამავალია და სამუშაოები მომავალ წელს გაგრძელდება.

სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობის პროცესების მორიტორინგი სისტემატიურ ხასიათს ატარებს. სამეურნეო წელი დასასრულს უახლოვდება, გამოსაყენებელია ხელსაყრელი ამინდებიც, რათა ხელშეკრულებით გათვლილი ვადები იქნეს დაცული. მუნიციპალიტეტის მერი **ზვიად მხეიძე**, პირველ მოადგილესთან **დავით გოგლიძესა** და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად ხშირად ადგილზე ეცნობა ვითარებას, მშენებელ ფირმებისა თუ კომპანიების წარმომადგენლებთან შეხვედრებიც იმართება, სადაც ისახება ხარვეზებთან და სხვა, გზადაგზა წარმოქმნილი პრობლემების დაძლევის ღონისძიებებიც, მაგრამ ხარისხთან დაკავშირებით პასუხისმგებლობისაგან არ თავისუფლდებიან ადგილობრივი მაცხოვრებლები. ისინი ასე თუ ისე ყოველდღიურ შეხებაში არიან მუშებთან და მათ თვალს შეუმჩნეველი არ უნდა დარჩეს შეგნებულად თუ შეუგნებლად რეაბილიტაციაზე დასაქმებულთა დაშვებული შეცდომები. სასოფლო გზები ხომ მათთვის კეთდება.

ხოტევი

ნიკორწმინდა

I ტოლა

ამომრჩეველი, დეპუტატი, მერის წარმომადგენელი

სოფელი ხალხითაა ძლიერი და თბილი

დეპუტატი – ლათინური სიტყვაა (deputatus) და უცხო სიტყვათა ლექსიკონში მისი მნიშვნელობა ასეა ახსნილი:

1. არჩევითი სახელმწიფო დაწესებულების მუშაკი.

2. რაიმე კოლექტივის მიერ მინდობილი დავალების შესასრულებლად არჩეული პირი.

თვითმმართველი თემის – ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მე-2 მოწვევის საკრებულოს შემადგენლობის არჩევისას ამომრჩეველმა უფრო მეორეთი იხელმძღვანელა. განსაკუთრებით მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ასარჩევი კანდიდატურების შერჩევისას. ასეთნი კი მუნიციპალიტეტის საკრებულოში დღეს ათნი არიან. მათ შორის 44.05 ადგილობრივი ოლქიდან (ჭრებალო, გენდუში, ზედა და ქვემო ჟოშხა, ჭყვიში, ქვიშარი) **ბაკურ სანთელაძე**, რომელმაც მონაწილეობა მიიღო საკრებულოს 24, ფრაქციის – 11, საფინანსო-საბიუჯეტო – 25 და სივრცითი ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურული – 24 კომისიების სხდომების მუშაობაში.

აღნიშნული სოფლების მოსახლეობის უმრავლესობამ მასზე კანდიდატებს შორის არჩევანი იმიტომ შეაჩერა, რომ საკრებულოს ფრაქციებსა და მუდმივმოქმედ კომისიებში მუშაობის გამოცდილება უკვე ჰქონდა. ალბათ იმიტომაც, რომ არის „ლიბერთი ბანკის“ ამბროლაურის ფილიალის მმართველი და თუ არა ყველაზე კარგად ვის უნდა ესმოდეს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 85%-ის – პენსიონერების. მითუმეტეს რომ ჭრებალოს და ჭყვიშის ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალი სოფლების მოსახლეობის უმრავლესობას სწორედ ისინი წარმოადგენენ. ე.ი. კარგად იცნობენ და ენდობიან, მანდატი ამიტომაც ჩააბარეს. რაც სხვა დეპუტატებისაგან განსხვავებით მას განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს და არა უპირატესობას. გაცნობიერებული აქვს, თუმცა ისიც კარგად იცის, რომ ჩასაფრებულ-გამკრიტიკებელიც ბლომად ჰყავს. ამაზე ცოტა ქვემოთ. მანამდე კი ის, რომ ვერ დაფარა ჟოშხის სასოფლო გზის ასფალტო-ბეტონით მოწყობის სამუშაოების დაწყებით გამოწვეული სიხარული. განაცხადა: ეს, როგორც რამდენიმე მოწვევის დეპუტატის ოცნება იყო და ვთვლი, ამით როგორც ამ მიწის შვილმა ჩემი მოქალაქეობრივი ვალი მოვიხადეო. კმაყოფილია იმითაც რომ წელსვე იწყება ქვედა ჟოშხის გაზიფიცირება. გენდუშში და სხვა სოფლებშიც ასე თუ ისე მოგვარებულია მოსახლეობაზე სასმელი წყლის მიწოდების საკითხი. ქვედა ჟოშხაში ე.წ. გორდეზიანების უბანშია შეფერხება და ისიც უკვე გადაჭრის პროცესშია. მოგვარებულია გარე განათების, ხიდ-ბოგირების, გადასასვლელების, ნაპირსამაგრების მოწყობის საკითხი. ქვიშარში დასრულდა გარეგანათების სამუშაოები, ჭყვიშში საბავშვო სკვერის მოწყობა და სხვა.

დეპუტატი ეფექტურად კი თვლის ჭრებალოს სასაფლაოს შემოკავება-კეთილმოწყობაზე, ადგილობრივი ბიუჯეტის წაშველებით 20000 ლარამდე დახარჯულ თანხას, მაგრამ სირცხვილად მიაჩნია, ის რომ წინაპრების საფლავების მომვლელად შთამომავლობა იმის მაგივრად თავად ზრუნავდეს, სხვას უხმობს...

ზოგადად აქაურები არ ემდურიან სამედიცინო კადრებით მომსახურებას, ფუნქციონირებს საზოგადოებრივი ცენტრის ფილიალი, საჭიდაო დარბაზი, საჯარო სკოლები, ბიბლიოთეკები, საბავშვო ბაღები, გაჩნდნენ საოჯახო სასტუმროები, მარნები, ჰოსტელები, ახალშენები...

მართალია აქაურთათვის არც მეწყერია უცხო და არც სხვა ის პრობლემა, რაც თანმდევია, ზოგჯერ ბუნების კაპრიზებიდან გამომდინარეც, უმრავლესი სოფლებისათვისაც, მაგრამ მაინც არის ყველა ის პირობა, რომ ადამიანი მყარად დაფუძნდეს მამა-პაპისეულ ფუძეზე და სხვებისთვისაც მაგალითი აღმოჩნდეს თავისი ცხოვრების წესით.

დღეს ორივე ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფლებში 1000-ზე მეტი ადამიანი სახლობს. ჭრებალოში 330; ზედა და ქვედა ჟოშხაში 300, გენდუშში 30, ჭყვიშში 200, ქვიშარში 200. საბედნიეროთ მათ უმრავლესობას გაცნობიერებული აქვს, რომ სოფელი მაშინაა თბილი და ძლიერი თუ ერთმანეთისადმი მეტი პატივისცემა და გამტანიანობა ექნებათ. ამიტომ ისინი პრობლემებზე საუბრისას თითს სხვისკენ არ იშვერენ, თავიანთი პასუხისმგებლობაც აქვთ გააზრებული. მაგრამ ისეთნიც იყვნენ, აგრესიას უფრო პირადულიდან გამომდინარე, რომ ამჟღავნებდნენ (შორს წასვლა არ დაგჭირვებია, ჭრებალოს ცენტრში ხალხს რა გამოლევს). თუმცა მათგან გაჟღერებული თემებიდან ზოგი მართებულად გვენიშნა. მაგალითად ტყით სარგებლობასთან, სათიბ-საძოვრების სავენახე ფართობებად უცხოებზე გაყიდვასთან დაკავშირებული საკითხები... განიცდიან იმასაც, რომ „წესისგორის“ სამკურნალო წყლის ბედი გაურკვეველია.

ვერ დავუკარგავთ, ისიც თქვეს: როცა დეპუტატის დახმარება გვჭირდება პირადადაც ვხვდებით და მობილურითაც ვეკონტაქტებითო და გვეხმარება კიდეცო, მაგრამ მაინც დაამატეს: გვინდა ხშირად გვხვდებოდეს მერის წარმომადგენლებთან ერთად მასას და არა ერითიდაიგივე ადამიანებს. უმრავლესობა უნდა ვფლობდეთ სწორ ინფორმაციას ნებისმიერ საკითხზე. არა აქვს მნიშვნელობა ეს იქნება მიწა, დასაქმება, პროექტები, სოციალური პროგრამები თუ სხვა. ინფორმირებულნი როცა არ ვართ ამა თუ იმ საკითხზე სრულად, სწორედ ეს ხდება აზრთა სხვადასხვაობის, გნებავთ ჭორაობის საგანიო.

ყურადსაღები განცხადებაა და იმედია, გათვალისწინებული იქნება ადრესატების მიერ. არც ისე დიდი რაიონია ამბროლაური, რომ არ ვიცოდეთ საერთო საქმეში ვინ რა დოზით დებს თავის სავალდებულო წილს.

ინფორმაცია

გაიმართა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მეორე მოწვევის საკრებულოს ოცდამეექვსე (რიგგარეშე) სხდომა.

საკრებულოს გადაწყვეტილებით ქალაქ ამბროლაურში, მერაბ კოსტავას ქუჩაზე (ლიბერთი ბანკის ამბროლაურის ფილიალის და ყოფილი კინო-თეატრის შენობების მიმდებარედ) მდებარე სკვერს – **ბაჩანა ბრეგვაძის** სახელი მიენიჭა, ხოლო ქალაქ ამბროლაურში დავით აღმაშენებლის ქუჩაზე (კულტურის ცენტრის მიმდებარედ) რეაბილიტირებულ სკვერს – **დავით (დათუნიკა) სხირტლაძის** სახელი.

ძალადაკარგულად გამოცხადდა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის №85 განკარგულება „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ“.

სხდომამ ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარედ აირჩია **მერაბ ჩიტალაძე**, ხოლო სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარედ – **სიმონ ჭელიძე**.

***

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მე-2 მოწვევის საკრებულოს 27-ე მორიგმა სხდომამ მოისმინა და შეაფასა მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების ანგარიში, რომელიც სხდომას წარუდგინა მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო სამსახურის უფროსმა **ბეჟან კობახიძემ**.

სდომამ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის მიერ ინიცირებული და სხვადასხვა საკითხები.

მიტოვებულები არ ვართ და არც არავის მივატოვებინებთ თავს

შარეულას ულამაზეს ხეობაში მდებარე ისტორიული სოფელი **ცახი** (ისტორიულ წყაროებში მოიხსენიება XI-XII საუკუნეებიდან), რაიონულ ცენტრს 32 კილომეტრით რომაა დაშორებული, **გოგოლათთან, ზედა** და **ქვედა ღვარდიასთან** ერთად შორიდან უყურადღებოდ მიტოვებულ ადმინისტრაციულ ერთეულად გვეჩვენება, მაგრამ მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის **ფრიდონ სოხაძის** სიტყვებით „მიტოვებულები არ ვართ და არც არავის მივატოვებინებთ თავსო“, ადამიანურად გსიამოვნებს და რწმუნდები, რომ წარმომადგენელი კარგად ერკვევა თავის მოვალეობებში, გათავისებული აქვს აქაურთა ჭირიც და ლხინიც, პატივს სცემს ისტორიას და რასაც აკეთებს, აკეთებს კუთხისა და ქვეყნის სიყვარულით.

შეიძლება სუბიექტურმა გარემოებებმაც უბიძგა, მაგრამ უფრო იმან, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში შექმნილი ვითარების გამო საზღვარგარეთ წასვლა მისი ბუნებიდან გამომდინარე უფრო სიძნელეებზე თავის არიდება, გაქცევა იქნებოდა. ამიტომ პრობლემებთან ჭიდილი მამა-პაპისეულ ფუძეზე ამჯობინა და არც ნანობს. წლებია აქაა, ბოლო 9 წელი კი მერის წარმომადგენელია და მაგალითი აღმოჩნდა იმ 25 ოჯახისთვის, რომლებიც ბოლო წლებში წინაპრების დანატოვარს მოეპატრონენ.

არ ფიცავს, იმ გაჭირვების წლებში სოფელმა გადაგვარჩინა ჩემი ოჯახის წევრებიც და ის ახლობლებიც, რომლებიც ბედის უკულმართობამ სამშობლოში ტოლვილებად აქციაო. ე.ი. მან იცის მიწის ფასი და მასთან ერთად იმ 66-მა ადამიანმაც, რომლებიც კარგა ხანია დარაჯად უდგანან ამ ოთხ სოფელს. აქედან ცახში 35, ზედა ღვარდიაში 20, ქვედა ღვარდიაში 8, ხოლო გოგოლათში 3.

ჩვენც აქედან ვიწყებთ. ამ უძველეს, უნიკლური ხის სახლებით და ხელოსნებით ცნობილ, დღეს კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე სოფელს აქამდე მხოლოდ დედაშვილი **ლიანა** და **რომან სოხაძეები** აცოცხლებდნენ. წელს აქ სამი ოჯახი გამოიზამთრებს. **თემურ ნამგალაძის** და **ბესიკ კახიძის** დაბრუნებამ იმედის დიდი სხივი გააჩინა.

ცახის თემს ყველაზე კარგი გზა აქვსო, განაცხადა მერის წარმომადგენელმა. შეძლებისდაგვარად „სოფლის მხარდამჭერი“ პროგრამით თუ ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით მოწესრიგებულია საუბნო გზებიც, წყალსადენებიც. „დასაქმების პროგრამით“ 7 სოციალურად დაუცველსაც გაუჩნდა შემოსავალი, თუმცა პრობლემები რა თქმა უნდა არის, მაგრამ არა ისეთი, რომ აქ არ ეცხოვრებოდეს ადამიანს. ყველაზე დიდ პრობლემად მაინც ზედა ღვარდიის ციცაბო კლდეზე გამავალი ერთადერთი გზაა, თუმცა ეს საკითხიც გვარდება. ამის თქმის უფლებას მას აძლევს მუნიციპალიტეტის მერის მიერ გაჟღერებული სიტყვები პროექტი უკვე მზადების პროცესშიაო.

სოფლისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამი კომპონენტი: გზა, წყალი, შუქი არის. კვირაში ორჯერ, კერძოდ ოთხშაბათსა და შაბათს სრულდება საავტომობილო რეისი ამბროლაური – ცახი. სოფლებს ემსახურება ექიმი და ექთანი (რომელთა შეფასებისას აქაურები მოზომილები იყვნენ, თუმცა...). მუშაობს ინტერნეტი, არის მობილური კავშირი...

და მთავარი: აქაურები სარგებლობენ მთის კანონის შეღავათებით.

აი, რატომ არ თვლიან თავს მიტოვებულად.

და მაინც, რატომ არ მიატოვებინებენ არავის თავს?

იმიტომ, რომ ცახი, კასტრულ ქანებზე მდებარე სოფელი ბევრს იზიდავს, მათ შორის მკვლევარებსაც, თავისი სტალაგმიტებით და სტალაქტიდებით მდიდრული 1 კილომეტრიანი მღვიმეთი. გოგოლათი უნიკალური ხის სახლებით, ხორგოებით, ბეღლებით. ზედა ღვარდია ხელუხლებელი ბუნებრივი ლანდშაფტით და ტრადიციული რაჭული საერო არქიტექტურისათვის დამახასიათებელი ნიმუშებით (ვანაძეების სასახლე, ჭები...). ქვედა ღვარდია თავისი ადგილმდებარეობით, ნოყიერი ნიადაგით გამორჩეული, სადაც ერთი თვით ადრე შემოდის მოსავალი. აქ მოწეული სარჩოსაბადებლით წლების წინ მარტო ცახელები და გოგოლათელები კი არ ირჩენდნენ თავს, არამედ თხმორელებიც, აქ მოქმედი ტურისტული ბაზა „შარეულა“...

და ბოლოს თვით შარეულას ხეობა თავდაცვითი მიზნით აგებული ქონგურებიანი და სათოფურებიანი კედლით. სალოცავები, ფლორა, ფაუნა. ყველა პირობას ქმნის იმისთვის, რომ თემი იქცეს მუნიციპალიტეტში ყველაზე მიმზიდველ ტურისტულ ცენტრად. ოღონდ ვიზიტორებს, რომლებიც განსაკუთრებულად მრავლად სტუმრობდნენ თემს წელს, შესაბამისი ინფრასტრუქტურაც უნდა ხვდებოდეს (ელემენტარულად ბიოტუალეტი მაინც ხომ უნდა არსებობდეს).

აი, ამიტომ იბრძვის მერის წარმომადგენელი თანამოაზრეებთან ერთად ყველა დონეზე. მისივე სიტყვებით, ეს ხეობა ერთერთი ოქროს ზოდია რაჭაში, რასაც კვლევების გაგრძელება, შედეგის დადება და მიხედვა სჭირდება.

ტურიზმიდან მიღებული შემოსავლით ამოისუნთქავენ აქაურები. შემოსავალი ხომ დასაქმებაზეც აისახება და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტზეც. პოზიტიური მოლოდინები აქვთ, ახალგაზრდებიც დაბრუნდებიანო.

მაშინ ყველაზე ბედნიერი ადამიანი ვიქნებიო – განაცხადა მერის წარმომადგენელმა. იმედია, მას გუნდთან ერთად ამ ოცნების შესრულებაში დაეხმარებიან ის სამინისტროები და სააგენტოები, რომლებიც საქმის კურსშიც არიან და რომელთაც ხელეწიფებათ საკითხის დადებითად გადაჭრა. მარტო ორი ავარიული ხის სახლის კვლევა გოგოლათში საკმარისი არაა.

დანაპირების შესრულებას ითხოვენ აქაურები. ცოტანი კი არიან და რაჭული თმენის უნარიც გააჩნიათ, მაგრამ არ მოისვენებენ და თავს მართლა არავის მიატოვებინებენ, მითუმეტეს რომ სამხარეო და ადგილობრივი ხელისუფლებისაგან მხარდაჭერა აქვთ.

არ არიან 2022 წლით უკმაყოფილო, მაგრამ უფრო მეტს მოელიან 2023 წელში.

ღმერთმა ნუ მოუშალოთ იმედი.

დ. დარახველიძე

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიაში გამართულ სამუშაო შეხვედრაზე, რომელსაც უძღვებოდნენ რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე **ქრისტინა კობახიძე** და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი – **ზვიად მხეიძე**, დეტალურად იქნა განხილული ა(ა)იპ-ის „მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრი“ და მთავარი ბიბლიოთეკის სამსახურებში არსებული მდგომარეობა. განიხილეს მიმდინარე სამუშაოები, დაგეგმილი ღონისძიებები და პრობლემური საკითხები. იმსჯელეს ზოგიერთი მიმართულებით არსებულ ხარვეზებსა და მათი მოგვარების გზებზე, ასევე ისაუბრეს იმ ინიციატივებზე, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს სხვადასხვა პროექტში ახალგაზრდების მეტად ჩართულობას.

მსგავსი შეხვედრები სხვადასხვა ა(ა)იპ-ების წარმომადგენლებთან პერიოდულად გაგრძელდება, რაც ხელს შეუწყობს ორგანიზაციების მხრიდან უფრო ეფექტურ მუშაობასა და კონკრეტული სფეროების მეტად განვითარებას.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ხელმძღვანელი **მარიკა დვალი**, თანამშრომლებთან ერთად, ქ. ამბროლაურში მდებარე შშმ ბავშვთა „დღის ცენტრის“ წარმომადგენლებს შეხვდა.

ცენტრი, რომელიც 2019 წლიდან ფუნქციონირებს ზრუნავს ბენეფიციარების სოციალური უნარების განვითარებაზე და ხელს უწყობს მათ ინტეგრაციას სოციუმში. ბავშვებთან ინდივიდუალურად მუშაობს ფსიქოლოგი და სპეციპედაგოგი.

სამუშაო შეხვედრაზე მოსმენილი ინფორმაციის შესაბამისად იმსჯელეს იმ ერთობლივი თანამშრომლობით განსახორციელებელ ღონისძიებებზე, რომლებიც ხელს შეუწყობს დღის ცენტრის უფრო ეფექტურ მუშაობას და შესაძლებელს გახდის აღნიშნული ცენტრის მომსახურებით შშმ ბავშვების გარდა, სპეციალური საჭიროების მქონე (სსმ) ბავშვებმაც ისარგებლონ.

ეტალონი

სამხარეო ადმინისტრაციაში გამართულ დაჯილდოების ცერემონიალზე პროექტის „ეტალონი“ და „IZRUNE.GE“ ავტორმა – **გოჩა ტყეშელაშვილმა** რეგიონში შემავალ მუნიციპალიტეტების მერებს, საკრებულოს თავმჯდომარეებს და რესურსცენტრების ხელმძღვანელებს სოციალურ-საგანმანათლებლო პროექტ „ეტალონსა“ და მაღალტექნოლოგიურ პორტალ izrune.ge-სთან აქტიური თანამშრომლობისათვის სამადლობელი სიგელები გადასცათ.

Izrune. Ge ინოვაციური პროექტი და ონლაინ საგანმანათლებლო პლატფორმაა, რომელიც ახალგაზრდას ეფექტური განათლების მიღებაში ეხმარება. მისი საშუალებით მოსწავლეს შეუძლია, გაიაროს თავისი ასაკის შესაბამისი კითხვებისგან შედგენილი ტესტები და შეამოწმოს საკუთარი ცოდნა.

პროექტი „ეტალონი“ მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით ბევრ მნიშვნელოვან აქტივობას ახორციელებს, რომლებიც მიმართულია ახალგაზრდა თაობის მოტივაციის გაზრდისა და განათლების ხელშეწყობისკენ.

გიორგობა მიულოცეს

„დღევანდელი დღის ძალა და მადლი გფარავდეთ თითოეულ თქვენგანს და ჩვენს ქვეყანას“ ამ სიტყვებით მიულოცა გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაული მუნიციპალიტეტის მოსახლეობას ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერმა **ზვიად მხეიძემ**. მან მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ხელმძღვანელთან – **მარიკა დვალთან** და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, სხვადასხვა საჭიროების მქონე რამდენიმე ოჯახს გიორგობის დღესასწაული პირადად მიულოცა და სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

* * *

შპს „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურთან“ თანამშრომლობა გრძელდება. კამპანიაში „გაიღე სისხლი – გადაარჩინე სიცოცხლე“ კვლავ აქტიურად ჩაერთვნენ მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები და მსურველი მოქალაქეები.

* * *

ადგილობრივი თვითმმართველობის ხელშეწყობით, მოსახლეობის საჭიროებებიდან გამომდინარე, გარდა სოციალური პროგრამებისა ხშირად ტარდება უფასო სამედიცინო გამოკვლევები, რითაც მსურველებს საშუალება ეძლევათ სხვადასხვა პროფილის კვალიფიციური სამედიცინო პერსონალისაგან მიიღონ უფასოდ კონსულტაციები.

ახლახანს თვალის მიკროქირურგიის ჯავრიშვილის კლინიკის „ოფთალმიჯის“ ოფთალმოლოგის მიერ ასეთი კონსულტაციები მიიღო 40-მდე პაციენტმა.

წიგნის თვე რაჭაში

წლებია ეს თვე ოქტომბერია, წლის საუკეთესო დრო, პროექტის ავტორის მიერ შეგნებულად შერჩეული **ბაჩანა ბრეგვაძის** სახელობის ლიტერატურული კონკურსის – „მწიგნობარი“ შედეგების შეჯამებისათვის. კონკურსის საზეიმო გახსნის ცერემონიალს მუნიციპალიტეტის მერი **ზვიად მხეიძე** მოადგილე **მამუკა ხიმშიაშვილთან**, სახელმწიფო ადმინისტრაციის, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან და სხვადსხვა სფეროდან მოწვეულ სტუმრებთან ერთად ესწრებოდა. საჯარო სკოლების გამარჯვებულნი საკმაოდ მკაცრი ჟიურის წინაშე წარსდგნენ, 30 ოქტომბერს, დასკვნითი ღონისძიებაზე.

გაიცანით, ნომინაციების მიხედვით გამარჯვებულები არიან:

ისტორიული რომანი

I ადგილი – შოთა ჭელიძე (ბუგეულის საჯარო სკოლა)

II ადგილი – სალომე ჩარკვიანი (ბუგეულის საჯარო სკოლა)

ლიტერატურული შედევრები

I ადგილი – ნინო ლაიშვილი (ამბროლაურის II საჯარო სკოლა)

II ადგილი – ლექსო მუსელიანი (ამბროლაურის II საჯარო სკოლა)

XIX- XX სს-ის მწერლობა

I ადგილი – მარიამ თომაძე (ამბროლაურის I საჯარო სკოლა)

II ადგილი – ოთო ლუხუტაშვილი (ჭრებალოს საჯარო სკოლა)

თანამედროვე ლიტერატურა

I ადგილი – მარიამ კერესელიძე (სადმელის საჯარო სკოლა)

II ადგილი – ოთო ლუხუტაშვილი (ჭრებალოს საჯარო სკოლა)

პუბლიცისტიკა და ესე

I ადგილი – თამარ მუსერიძე (ბუგეულის საჯარო სკოლა)

II ადგილი – მარიან თომაძე (ამბროლაურის I საჯარო სკოლა)

საბავშვო მწერლობა

I ადგილი – მარიამ გორდეზიანი (ამბროლაურის I საჯარო სკოლა)

I ადგილი – ხატია ფრუიძე (ხვანჭკარის საჯარო სკოლა)

I ადგილი – ლილე სანთელაძე (ამბროლაურის I საჯარო სკოლა)

ბაჩანა ბრეგვაძის თარგმანები

I ადგილი – ოთარ დონაძე (ამბროლაურის I საჯარო სკოლა)

II ადგილი – სალომე ჩარკვიანი (ბუგეულის საჯარო სკოლა)

დრამატურგია

I ელენე ჭოხონელიძე (თბილისი)

II ერეკლე ჯოხაძე (ამბროლაურის I საჯარო სკოლა)

„პოეზია უპირველეს ყოვლისა“

I ადგილი – ქეთი კაციტაძე (ამბროლაურის II საჯარო სკოლა)

II ადგილი – გვანცა გველეთიანი (ამბროლაურის II საჯარო სკოლა)

ამავე ნომინაციაში, ჟიურის რჩეულია ანა ბათხაძე (ამბროლაურის II საჯარო სკოლა)

თავისუფალი თემა

I ადგილი – ელენე გველეთიანი (ამბროლაურის II საჯარო სკოლა)

II ადგილი – ანა ონიანი (ამბროლაურის I საჯარო სკოლა)

„ვეფხისტყაოსანი“

I ადგილი – ლუკა ქვათაძე (ამბროლაურის I საჯარო სკოლა)

II მარიამ ვახტანგაძე (ბუგეულის საჯარო სკოლა).

აღსანიშნავია, რომ **მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრი** აღნიშნულ ლიტერატურულ კონკურსს ამბროლაურის რესურს ცენტრის, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის, კულტურის ცენტრის მთავარ და საბავშვო ბიბლიოთეკებთან ერთად ახორციელებს და მიზანს – ხელი შეუწყოს ახალგაზრდობაში წიგნიერების დონის ამაღლებას და სხადასხვა პროექტებში მათ ჩართულობას, ნამდვილად ამართლებს და ამიტომაც მოსწონს და მხარს უჭერს საზოგადოება.

ლიტერატურული კონკურსის განვითარებაში დიდია მთავარი ბიბლიოთეკის წვლილი. რაც შეუმჩნეველი არ დარჩენილა. მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სამადლობელი სიგელები გადაეცა ბიბლიოთეკას და ქალბატონ **ნინო ენუქიძეს**.

ლიტერატურული კონკურსი „მწიგნობარი – 2022“ დამთავრდა, მაგრამ მზადებას „მწიგნობარი – 2023“-სათვის მოსწავლე-ახალგაზრდობა უკვე შეუდგა. სასიამოვნოა, რომ კონკურსში მონაწილეთა რიცხი ყოველწლიურად მატულობს და მისადმი ინტერესი იზრდება.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროგრამებთან დაკავშირებით, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ამბროლაურის ფილიალში სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელსაც მერიის სოციალური და ჯანდაცვის ხელმძღვანელი მარიკა დვალი, ამავე სამსახურის თანამშრომლებთან და „წითელი ჯვრის“ წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდა.

აღსანიშნავია, რომ ამბროლაურში „პროფესიული შინ მოვლის პროექტი“ ხორციელდება, რომელიც ითვალისწინებს განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირების სამედიცინო, საბაზისო და სოციალურ მოვლას ადგილზე, მათი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. ბენეფიციარებს ემსახურება მაღალკვალიფიციური მულტიდისციპლინირებული გუნდი (ექიმი, ექთანი, ექთნის ასისტენტი, სოციალური მუშაკი, ოჯახის დამხმარე, ტექნიკური ასისტენტი).

აღნიშნულის გარდა, წითელი ჯვრის ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, მუნიციპალიტეტში ბევრი მნიშვნელოვანი აქტივობა ხორციელდება, რომლებიც ითვალისწინებს კატასტროფებისთვის მზადებარეაგირებას, შინმოვლისა და საგანგებო სიტუაციების დროს ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას, სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებზე დაფუძნებულ მხარდაჭერას, მოსახლეობაზე ჰუმანიტარული ამანათების მიწოდებას და საზოგადოების საჭიროებებიდან გამომდინარე სხვა სახის ღონისძიებების განხორციელებას.

„შემოდგომის მზე“

ეს ნიჭიერი ბიბლიოგრაფის ანა ერისთავის უკვე მე-7 ლექსთა კრებულია, რომლის პრეზენტაცია ახლახანს ეროვნულ ბიბლიოთეკაში შედგა. პოეზიის თაყვანისმცემელთა არმიას ჩვენც – ამბროლაურის მოამბელებიც ვუერთდებით. ანა ხომ ჩვენიცაა, რამ გაგვყო ქვემო და ზემო რაჭველები. მითუმეტეს, რომ ის წლებია ჩვენთან თანამშრომლობს და ამდენად მისი წარმატება ჩვენეულად მიგვაჩნია.

„მზის ქალაქში მბრწყინავი სხივი“ გიწოდეს შეხვედრაზე ქალბატონო ანა. ბატონმა ბადრი სულაძემ, რომლის რედაქტორობითაც გამოვიდა წიგნი, წინასიტყვაობაში განაცხადა: „ანა თავიდან ბოლომდე ფეხადგმული პოეზიაა“, „საცისკრო ლოცვას ჰგავს მისი ლექსები“...

ჰოდა, რაღა უნდა დავამატოთ შენი შემოქმედების მათეულ შეფასებას. მხოლოდ თხოვნა გვაქვს „მარტო დარჩენის მეშინიაო“ ამბობ ლექსში „სიყვარული“. არც გაიფიქრო. შიში არ გაიკარო. ყოველდღიურობიდან ამოზრდილ-ამომზირალი, უამრავ ჟურნალსა თუ კრებულში გაბნეული, შენი პოეტური სტრიქონები ამის უფლებას არ გაძლევს. კვლავაც ასე უფლის კარნახით გააგრძელე ლექსის კომპოზიცური ქარგვა.

გილოცავთ წიგნის „შემოდგომის მზე“ დაბადებას. დიდხანს გვყავდე „მზის ქალაქსა და მზის საუფლოში“.

ამბროლაურის მოამბელები

მისალოცი წინადადება

წლების წინ მრავალშვილიანი დედის სტატუსი საპატიო, ღირსების საქმე იყო. ასეთებს აფასებდნენ და პატივს სცემდნენ. ცხადია, იყო შეღავათები და წოდება „გმირი დედა“.

ასეთი მხოლოდ ერთი ჰყავდა ჩვენს რაიონს. 11 შვილის დედა – ზიზიკო კაციტაძე, მახსოვს მაშინდელმა ხელისუფლებამ გაზ –24 გამოუყო და ბინაც ქ. ამბროლაურში.

არ ვამბობ იმას, რომ დღეს ადგილობრივი თვითმმართველობას უყურადღებოდ ჰყავს მიტოვებული მრავალშვილიანი ოჯახები. ვიცი. რომ სოციალური პროგრამებიდან მათ სასარგებლოდ მუშაობს კარგი ქვეპროგრამა, სახელმწიფოსგანაც აქვთ მთელი რიგი შეღავათები, მაგრამ მრავალშვილიანთა კატეგორიაში უკვე სამშვილიანებიც ითვლებიან. რა თქმა უნდა კარგია, მაგრამ ხომ არ აჯობებდა ხუთი ან მეტი შვილებიანებისთვის უფრო მაღალი, განსხვავებული ერთჯერადი ან მრავალჯერადი ფულადი დახმარება შემოგვეღო, წოდების სახელიც მოგვეფიქრებინა.

დღევანდელი დემოგრაფიული სიტუაციის ფონზე მართლა გმირობად მიგვაჩნია 4, 5 და მეტი შვილის აღზრდა. ჩვენს თვალში ეს პატრიოტიზმია, ქვეყნის სიყვარულია, სახელმწიფოებრივად აზროვნებაა.

იმედია, სამშვილიანი დედები არ გაგვინაწყენდებიან. მაგალითის მოყვანაც შეიძლება. დღეს რომ ჭყვიში და ქვიშარი მუნიციპალიტეტში შედარებით მრავალრიცხოვანი და მოქმედი სოფლებია, საჯარო სკოლებში რომ 23 მოსწავლეა, საბავშვო ბაღში 8 აღსაზრდელი, მრავალშვილიანი დედების დამსახურებაცაა. შეიძლება რაიმე სიახლეები ამ კუთხით კიდევაცაა ჩადებული მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში, მაგრამ მაინც ვფიქრობ, მისაღები წინადადებაა.

ამით სხვების აზრსაც ვახმოვანებ. ვიმედოვნებთ, ამ შემოთავაზებისთვის არავინ განგვსჯის.

ნ. გაგიცინაშვილი

სიახლეა, მაგრამ აუცილებელი

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში დარეგისტრირებულ ინდმეწარმეებს შორის „ვაჟა კერესელიძე“ სხვებისგან ფუნქციით განსხვავებულია. იგი პირველიცაა და სიახლეც. თუმცა საზოგადოების დიდი ნაწილის სურვილი ამოქმედებულიყო ისეთი სახლი, სადაც უმწეონი თავს კომფორტულად იგრძნობდნენ დიდი ხანია გახმოვანებული იყო.

ოჯახმა გადაწყვიტა მოუაროს იმ პირებს, რომლებიც საჭიროებენ ზრუნვას, მაგრამ მათთვის ახლობლებს სხვადასხვა მიზეზით დრო არ რჩებათ.

დედამთილმა და რძალმა – ნანამ და ნინომ ოჯახის სხვა წევრების დახმარებით სითბო, ყურადღება, სასმელ-საჭმელი, მედიკამენტები არ მოაკლო უკვე 12 უმწეო მდგომარეობაში მყოფ პირს. ამჟამადაც მზად არიან მსურველები მიიღონ, პარალელურად ხელი შეავლონ სახლს, რომელიც მართლა საჭიროებს კოსმეტიკას, უფრო ესთეტიკური თვალსაზრისით, თორემ ფართი და სხვა პირობები ნამდვილად არის. ოჯახს პირუტყვიც ჰყავს და ფრინველიც. შემოდგომაც ბარაქიანი ჰქონდათ. ასე, რომ აქ, იმ პირებისათვის, რომლებსაც არ შეუძლიათ გადაადგილება და საჭიროებენ სხვის დახმარებას, არ მოაკლდებათ ადამიანური სითბო, მოვლა, და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი.

ოჯახმა ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, როცა თვითონ აღმოჩნდნენ მსგავს სიტუაციაში. ოჯახის უფროსს არაერთხელ დასჭირდა ძვირადღირებული ქირურგიული ჩარევა და როცა სიცოცხლის გადარჩენისათვის სახსრების მოძიება გაუჭირდათ, ბევრი დაუდგათ მხარში. ამდენად თანადგომის მნიშვნელობაც იციან.

ამიტომ გვთხოვეს გაზეთის საშუალებით ეთქვათ მათთვის მადლობა. განსაკუთრებით მადლიერნი არიან პარლამენტარ გოჩა ენუქიძის, სამხარეო და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელობის.

სახლის არსებობა (არ გვინდა ვიხმაროთ სიტყვა თავშესაფარი) ბევრისთვის იმედის მომცემია. რას ვიზამთ, დრომ მოიტანა. როცა ყველაზე ძალიან ვჭირდებით იმ ადამიანებს, ვინც ამაგი დაგვდო, სამწუხაროდ მათთვის ველარ ვიცლით.

იმედია, მუნიციპალიტეტში ამ კუთხით საქმიანობის ფორმა დაიხვეწება, გააზრებული პროგრამებიც ამოქმედდება და მომვლელად საზღვარგარეთ წასვლის მსურველნი აქეთ დასაქმდებიან. განა ცოტა ჩვენებური შეერია ემიგრანტთა არმიას...

შევუწყოთ ხელი მათ, ვინც პიონერი აღმოჩნდა ამ საქმეში და ვინც დაუძლურებულთა მოვლა-პატრონობას კისრულობს.

ოჯახთან დაკავშირება შესაძლებელია შემდეგ ნომერზე: 599 00 12 76

გასწორება!

„გიხაროდენ!“ ამ სათაურით გაზეთის მიმდინარე წლის აპრილის მე-4 ნომერში გამოქვეყნებული წერილი მკითხველს ამცნობდა, ბავშვობიდან და საჭიდაო დარბაზიდანაც ძმებივით შეზრდილი, წესელი ბიჭების – ვლადიმერ გამყრელიძის და გიორგი ელბაქიძის თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიო არენაზე მოპოვებულ წარმატებებს.

ბიჭები ახლახანს მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ და უამრავ გულშემატკივართან ერთად ჩვენც გავიზიარეთ ეს სიხარული. რადგან მათი ურთიერთობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის უმრავლესობისათვის ცნობილია, სათაურად გამოვიტანეთ „ძმები“ მსოფლიო ჩემპიონები.

სამწუხაროდ, საბოლოო კორექტირებისას სტრიქონის „ძმებივით თანაშეზრდილი ბიჭების“ ტექსტიდან ამოვარდნის შეუმჩნევლობამ და სიტყვა გამყრელიძეების გაჟღერებამ უხერხულობა შეგვიქმნა. რისთვისაც ვიხდით ბოდიშს. ხოლო მადლობას ვეუბნებით ფალავნების მშობლებს, რომლებმაც დაგვამშვიდეს სიტყვებით: მართლა ძმებივით არიან და ამ უნებლიე შეცდომისთვის ყურადღება არც მიგვიქცევია და ნურც თქვენ იღელვებთო.

ქალაქის მე-2 საჯარო სკოლის 1968 წლის კურსდამთავრებულები პედაგოგ გელა კობახიძესთან ერთად ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ოპერის ცნობილი მომღერალი, თანაკლასელი

ტარიელ ჭიჭინაძე

და უთანაგრძნობენ მწუხარებაში ასევე თანაკლასელ მარია ქურციკიძეს მეუღლის გარდაცვალების გამო.

თანაკლასელები კახა კახეთელიძე, ომარ გოგორელიანი, ჯუმბერ გურგენიძე, ფარნაოზ მოწონელიძე, ამირან ფონჯავიძე, რეზო თომაძე, მევლუდ გეწაძე, ლალი დონაძე, გალინა და ფატი ენუქიძეები, ნუნუ ხუციშვილი, ჩიტო რატიანი, ნანული და ნანა ჭელიძეები, გულიკო გელოვანი, დალი ლორთქიფანიძე, იამზე რაზმაძე, აზა სირაძე და როენა მაცაბერიძე იუწყებიან

ტარიელ გენოს ძე ჭიჭინაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რობერტი დარახველიძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ვასილ ლოგჯანიძე

და სამძიმარს უცხადებს ოჯახს.

სოფელ ბოსტანის ე.წ. „ყიფიანების უბნის“ სამეზობლო უთანაგრძნობს მწუხარებაში დარეჯან ჯანგიძეს მეუღლის

გივი გაგიჩვაძის

გარდაცვალების გამო.

რედაქტორი დალი დარახველიძე

რედაქციის მისამართი: ქ. ამბროლაური, დავით აღმაშენებლის ქუჩა №24 ტელ: 593 60 40 67

„ამბროლაურის მოამბე“ რეგისტრირებულია ამბროლაურის სასამართლოს მიერ. რეგისტრაციის №15/5/ბ103

გაზეთი დაიბეჭდა ბაჟური ჯილაძის მიერ ქუთაისი, წერეთლის ქ. №186. ტელ: 0431 23 45 54

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს, ავტორი პასუხისმგებელია მასალის, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, შინაარსსა და სტილზე.